კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა - I ტური

მე-7 კლასი

ძირითადი სავარჯიშოები (40 ქულა):

1. რა ციფრით ბოლოვდება ნამრავლი $57 * 71 * 43 * 33$?
   A. 2-ით B. 5-ით C. 3-ით
2. სანდრომ ჩაიფიქრა რიცხვი, დაუმატა 9, მიღებული ჯამი გაამრავლა 7-ზე და მიიღო 98. რა რიცხვი ჩაუფიქრებია სანდროს?
   A. 5 B. 8 C. ვერ დავადგენთ
3. ორი ტოლმნიშვნელიანი წილადიდან:
   A. ის არის მეტი, რომლის მრიცხველიც მეტია
   B. ის არის მეტი, რომლის მრიცხველიც ნაკლებია
   C. თუ წილადებს ტოლი მნიშვნელები აქვს, მაშინ ეს წილადები ერთმანეთის ტოლია
4. რომელია ნაკლები, $\frac{79}{81}$ თუ $\frac{55}{57}$?
   A. ტოლია B. $\frac{79}{81}$ C. $\frac{55}{57}$
5. დღის დასაწყისიდან (00 საათი და 00 წუთიდან) გასულია დღე-ღამის $\frac{5}{8}$ ნაწილი. რომელი საათია ახლა?
   A. 15:00 B. 18:00 C. 10:00
6. 125-ზე მეტი, მაგრამ 185-ზე ნაკლები რიცხვებიდან რამდენი იყოფა 5-ზე?
   A. 11 B. 10 C. 9
7. 10 რიცხვის ჯამია 57372. რა შეიძლება ვთქვათ ამ რიცხვებზე?
   A. მათგან ერთი მაინც იყოფა 2-ზე აუცილებლად
   B. თუკი რომელიმე რიცხვი ამ 10-დან იყოფა 2-ზე, მაშინ მეორე რიცხვიც იარსებებს ამ 10 რიცხვში, რომელიც ასევე გაიყოფა 2-ზე
   C. მათგან ერთი მაინც 2-ზე გაყოფისას ნაშთს გვაძლევს 1-ს.
8. ხეივანში მწკრივად დარგეს ხეები. ატმის ხის მარჯვნივ სამჯერ მეტი ხეა დარგული, ვიდრე მის მარცხნივ. რა ნაშთს გვაძლევს ხეების რაოდენობა 5-ზე გაყოფისას?
   A. ვერ დავადგენთ B. 1-ს C. იყოფა 5-ზე

ბონუს სავარჯიშოები (10 ქულა):

9. მაქსიმუმ რამდენი მახვილი კუთხე შეიძლება ჰქონდეს სამკუთხედს?
   A. 1 B. 2 C. 3
10. ამოხსენით განტოლება:
    56*11+7*(x-1)=987
    A. 54 B. 53 C. 59